ახალი ხარაგაული

344 (3) 8 თებერვალი, 2017 წ

მუნიციპალიტეტის გამგეობელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ახლად გახსნილი საავადმყოფო მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ** და გამგებლის მოადგილემ, **თეიმურაზ ჩხეიძემ**, ხარაგაულში ახლად გახსნილი საავადმყოფო მოინახულეს. ულტრათანამდროვე ტექნიკით აღჭურვილი კლინიკა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ააშენა. ახალი კლინიკა მუშაობას ოფიციალურად სულ რამდენიმე ხნის წინ შეუდგა და ადგილობრივებს აქ ამბულატორიული, სტაციონარული, ქირურგიული და სხვა სახის მომსახურების მიღება შეეძლებათ. მედპერსონალი მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდა და კლინიკაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს კვლავ ელიან.

„საავადმყოფო თოთხმეტ საწოლზეა გათვლილი, ერთი პალატა კი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პაციენტებისთვისაა. გვაქვს ასევე რეანიმაციული, ინტენსიური, ინფექციური და ოპერაციის შემდგომი პალატები. საავადმყოფოში არის საოპერაციო ბლოკი, შესახვევი, ცენტრალიზებული სტერილიზაცია და, რაც მთავარია, მუდმივი დენის წყარო. კვალიფიციური ექიმები ყოველდღე მოემსახურებიან პაციენტებს. ადგილობრივებს შესაძლებლობა ექნებათ ექოსკოპიაც ადგილზე გაიკეთონ“, - განმარტავს საავადმყოფოს მენეჯერი **ქეთევან აბრამიშვილი**.

აბრამიშვილის თქმით, კლინიკაში უახლოეს მომავალში ოპერაციების ჩატარებაც იგეგმება. „საოპერაციო ბლოკი თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი. ორჯერ ჩატარდა თვალის ოპერაცია. სამომავლოდ იგეგმება სხვა ოპერაციებიც. გაიზარდა პაციენტების მომართვა. თვის განმავლობაში 20-მდე სტაციონალური პაციენტი გვყავდა. სულ ხუთი ექიმი ვიყავით და ხშირ შემთხვევაში ავადმყოფები სრულ მომსახურებას ვერ ღებულობდნენ. ახლა კი ეს პრობლემა მოიხსნა,“ -ამბობს საავადმყოფოს მენეჯერი.

ქეთევან აბრამიშვილი ახალგაზრდების რაიონში დაბრუნებაზეც ამახვილებს ყურადღებას.

„მომავალ ექიმებს ვურჩევ, განათლების მიღების შემდეგ დაბრუნდნენ თავიანთ კუთხეში და აქედან დაიწყონ საყვარელი საქმის კეთება. აქ მიღებული გამოცდილება დაეხმარება მათ შემდგომ კარიერულ წინსვლაში.

შეგახსენებთ, რომ ორსართულიანი, 14 საწოლიანი, თანამედროვე სტანდარტებს საავადმყოფო ხარაგაულში 2016 წელს აშენდა. პროექტის განხორციელებისთვის ჯამში მილიონ ექვსასი ათასი ლარი დაიხარჯა და სამუშაოები შპს „მშენებელი 2004-მა“ შეასრულა.

ეკა შავიძე

მთის განვითარების ეროვნული საბჭოს ახალ შემადგენლობაში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი იქნება

მთის საბჭოს საქართველოს პრემიერ მინისტრი, **გიორგი კვირიკაშვილი** ხელმძღვანელობს. მის შემადგენლობაში ასევე, ვიცეპრემიერები, მინისტრები, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეები, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეები, გუბერნატორები და მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის რამდენიმე წევრი შედის.მთის განვითარების ეროვნული საბჭოს ახალ შემადგენლობაში ასევე იქნება ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **კობა ლურსმანაშვილი**.

პარლამენტარი **კობა ლურსმანაშვილი** მთის განვითარების ეროვნულ საბჭოში აქტიურ მუშაობას გეგმავს. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ჩრდილის, ზვარისა და ბჟინევის, ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტის: ხანის, საკრაულასა და ზეგანის სოფლებზე მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების თაობაზე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა.

კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, რომ მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს აქვს ახალი ხედვები და იგი იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოს მუშაობა ნაყოფიერი იქნება. „მთის განვითარების გეგმა არის ძალიან კარგად ჩამოყალიბებული, რომელიც გულისხმობს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობას, დასაქმების ხელშეწყობას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და გაზრდილ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. მაღალმთიან სოფელში დასაქმებულებს ხელფასებსა და პენსიებზე ეძლევათ დანამატები. ასევე არ იბეგრება შრომითი ანაზღაურება და მოქმედებს სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები. იმედი მაქვს, რომ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი დამატებით კიდევ რამდენიმე სოფელს მიენიჭება.“ - აღნიშნა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა.

ამჟამად ხარაგაულში მაღალმთიანი დასახლების სტატუსით 7 სოფელი (ნუნისი, პატარა სახვლარი, გოლისი, გოლათუბანი, გუდათუბანი, წიფა და ფონა) სარგებლობს.

ეკა შავიძე

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებენ

31 იანვარს სახელმწიფო რწმუნებულ–გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე 2015–2017 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები განიხილეს. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს იმერეთში ტურიზმის განვითარებასა და ტურისტების მოზიდვაზე.

გარდა ამისა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, გოჩა გიორგიძემ, C ჰეპატიტის სახელმწიფო სკრინინგ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოხსენება გააკეთა. ასევე გამოთქვა მზაობა მხარის 12–ვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალბატონებს პროგრამის ფარგლებში გამოკვლევები უფასოდ ჩაუტარდეთ.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე, **მანანა ბარბაქაძე** ესწრებოდნენ.

საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს

6 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მორიგ საბიუჯეტო ცვლილებას უყარეს კენჭი.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **ვლადიმერ გელაშვილის**, განცხადებით, სუბსიდიის სახით 23 ათასი ლარი გადაეცემა შპს „ხარაგაული-2011-ს“ რომელიც ორგანიზაციის ბალანსზე არსებული გრეიდერის შეკეთებისთვისაა საჭირო. 9 ათას ლარს მიიღებს ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობა“, რომელიც 5 ათას ლარს დაზიანებული ავტომანქანის შესაკეთებლად გამოიყენებს, ხოლო 4 ათასი ლარით გასული წლის დეკემბერში განხორციელებული შესყიდვების ხარჯებს დაფარავს. ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“ დამატებით ჩარიცხული 25 ათასი ლარით სოფელ ღორეშისა და წიფის ახლად აშენებულ საბავშვო ბაღებს გახსნის. გარდა ამისა 35 000 ლარი გადაეცემა „ხარაგაულდასუფთავებას“ ფეხბურთის სათამაშო მოედნისა და შენობა-ნაგებობის მოვლა-შენახვისთვის.

საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, დეპუტატთა უმრავლესობამ თანხმობა მისცა ასევე, მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის 28 ათასი ლარის გადაცემის საკითხს.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გუნდი „ჩხერიმელა“ ახალი ფეხბურთელებით დაკომპლექტდება

პირველ თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **ვლადიმერ გელაშვილმა**, დეპუტატებს საბიუჯეტო ცვლილებები წარუდგინა. ცვლილებები საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელასაც“ შეეხო. კლუბის მიერ მოთხოვნილი სუბსიდია 35 000 ლარის ოდენობით, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში უნდა ჩარიცხულიყო, აღარ განხორციელდება. გელაშვილი განმარტავს, რომ აღნიშნული თანხის ჩარიცხვაზე ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა, რადგან ისინი „ჩხერიმელა-2009-ს“ დაფინანსებას -სტადიონის მოვლა-შენახვის, შენობის რემონტისა და კომუნალური ხარჯებისათვის (17 ათასი ლარი სტადიონის მოვლა-შენახვა, 8 ათასი ლარი -შენობის რემონტი, 10 ათასი ლარი-კომუნალურის გადასახადები) ვერ განახორციელებდნენ. აქედან გამომდინარე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ინფორმაციით, მოხდა შეთანხმება, რომ ვინაიდან ეს თანხა დასუფთავების კუთხით იხარჯება, გადაეცეს ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“.

გუნდთან დაკავშირებულ სხვა პრობლემების შესახებ, „ჩხერიმელას” ახლად დანიშნულ დირექტორს, **დავით გაჩეჩილაძეს**, ვესაუბრეთ, რომელმაც ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა, თუ რა პრობლემების წინაშე დგას გუნდი და სამომავლოდ რა იგეგმება. შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას” დირექტორად ბატონი დავითი გასული წლის ბოლოს დაინიშნა და მან ამ თანამდებობაზე, **ზურაბ გიორგიძე**, შეცვალა.

„გუნდს ამჟამად „ფეხბურთის განვითარების ფონდი“ აფინანსებს და ჩვენი ბიუჯეტი მიმდინარე წელს 250 ათას ლარს შეადგენს. გამოყოფილი თანხებიდან ვიხდით ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასებს და კვების ხარჯებს. გასულ წელს არსებული პრობლემების გამო იყო საუბარი, რომ გუნდი გადასულიყო სამოყვარულო ჯგუფში

გაგრძელება ▶ 2 გვ.

საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს

▶1 ᲒᲒ.

აქედან 11 ათასი ლარი გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციისთვისაა საჭირო, ხოლო დარჩენილი 17 ათასი ლარი – გამგეობისთვის მსუბუქი ავტომობილის შესაძენად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ვარლამ ჭიპაშვილმა**, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატებს კომისიის დასკვნა გააცნო. ჭიპაშვილი ამბობს, რომ საბავშვო ბაღების გასახსნელად თანხების გამოყოფა მიზანშეწონილი და მისასალმებელია.

საკითხის განხილვამ საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატთა უკმაყოფილება გამოიწვია. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარისთვის წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება მიუღებელია. **თორნიკე ავალიშვილი** ავტომობილის შესაძენად თანხის გაცემას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

საკუთარი პოზიცია გამოხატა ლეღვნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ინგა მაღრაძემ**. იგი დასძენს, რომ გამგებლისთვის პერსონალურ ავტომობილს არ უნდა ყიდულობდნენ მაშინ, როცა სამსახურეებიდან თანამშრომლებს ამცირებენ.

ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე **იური ლურსმანაშვილმა** საკრებულოს წევრებს მოუწოდა, რომ საბიუჯეტო ცვლილებაში ამ კონკრეტული მუხლისთვის მხარი არ დაეჭირათ, რადგან გამგეობას საკმარისად ჰყავს ავტომობილები.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ვარლამ თავზარაშვილი** თვლის, რომ 17 ათას ლარად გამგებლისთვის ავტომობილის შეძენაში საგანგაშო არაფერია.

„**ინგა მაღრაძისა** და **თორნიკე ავალიშვილის** მხრიდან ამ საკითხებზე საუბარი უხერხულია, რადგან მათ მიერ დამტვრეული მანქანების შეკეთება საკმაოდ სოლიდური თანხები დაუჯდა ხარაგაულის ბიუჯეტს. ქალბატონმა **ინგა მაღრაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში, ავტომობილის შეკეთებაში 17 ათას ლარამდე დახარჯა. ამის ფონზე კი ის გამგებლისათვის 17 ათას ლარიანი ავტომობილის შეძენას აპროტესტებს,“ - განმარტავს თავზარაშვილი.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **ვლადიმერ გელაშვილის** თქმით, გამგებლისთვის მსუბუქი ავტომანქანის შეძენა გაყიდული ავტომობილიდან შემოსული თანხით უნდა მოხდეს. მისი განცხადებით, „პიკაპის“ მარკის ავტომობილი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას ეკონომიკის სამინისტროსგან ნათხოვრობის წესით გადმოეცა, გამგეობის თანამშრომელთა მომსახურებას სჭირდება და ამ ეტაპზე გამგებელს პერსონალური ავტომობილი არ ჰყავს.

თამარ მაღრაძე

გუნდი „ჩხერიმელა“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲢᲓᲔᲑᲐ

▶1 ᲒᲒ.

და დაფინანსება 50 ათასი ლარით განსაზღვრულიყო. ეს რომ ასე მომხდარიყო ფაქტობრივად „ჩხერიმელა“ არსებობას ვეღარ განაგრძობდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, მოლაპარაკებები აწარმოა ფეხბურთის ფედერაციასთან და სწორედ მას შემდეგ მივიღეთ დაფინანსება და შევინარჩუნეთ საფეხბურთო გუნდი,“- დასძინა ახალმა ხელმძღვანელმა.

სადისციპლინო კომიტეტმა საფეხბურთო „ჩხერიმელა“ 10 000 ლარით დააჯარიმა. როგორც **დავით გაჩეჩილაძე** განმარტავს, დავალიანება ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ გადმორიცხული თანხიდან დაიფარება. მოგეხსენებათ, გუნდში ყველა ძველი ფეხბურთელი და მწვრთნელი გათავისუფლებულია და ამ ეტაპზე ახალი მოთამაშეების შერჩევა მიმდინარეობს.

„ჩემი და, ალბათ, ყველა ხარაგაულელის დიდი სურვილია, გუნდი სრულად ადგილობრივებით დაკომპლექტდეს. ამ მიმართულებით ბევრს ვმუშაობ, რათა ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს. მოვიყვანეთ ახალი მწვრთნელი, **დემურ გიორგობიანი**, რომელმაც ფეხბურთელების შეკრება უკვე დაიწყო, მათ შორის 12 ახალგაზრდა ხარაგაულელია. ყველას მიეცა საშუალება ვარჯიშის, კვალიფიკაციის ამაღლების, არიან თბილისიდან ჩამოსულებიც. გაიმართება ამხანაგური თამაშები და აქედან შედგება საბოლოოდ გუნდი. ასევე ვგეგმავთ შიდა ტურების ჩატარებას რაიონის მასშტაბით. იმისთვის, რომ მივიღოთ სამომავლოდ თამაშის ლიცენზია ფედერაციის პირდაპირი მოთხოვნაა, გვქონდეს ფეხბურთის სამი ასაკობრივი ჯგუფი, რაც სამომავლოდ გუნდის დაკომპლექტებას ხელს შეუწყობს და ამ მხრივ პრობლემებიც ნაკლები იქნება. ერთხელ და სამუდამოდ მივაღწევთ, რომ ხარაგაულელებმა ხარაგაულელების თამაში ვიხილოთ... ძალიან დიდი იმედი მაქვს მუნიციპალიტეტის გამგებლის. მისი დიდი სურვილია, ჩვენს რაიონს ღირსეული გუნდი ჰყავდეს. მჯერა, ერთმანეთთან გვერდში დგომით ბევრს მივაღწევთ. გპირდებით, ძალისხმევას არ დავიშურებ, თავს არ დავზოგავ იმისათვის, რომ წარმატებული იყოს „ჩხერიმელა“ - აცხადებს კლუბის დირექტორი.

საბოლოოდ, გუნდი 20-22 ფეხბურთელით დაკომპლექტდება, მხოლოდ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, კვალიფიკაციის შესაბამისად, მოხდება მათთვის ხელფასების გადახდა.

„მე წარსულში არ ვიხედები, მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ, ხარაგაულელები ერთად უნდა შევუდგეთ ამ კარგი საქმის კეთებას და მჯერა, შედეგსაც აუცილებლად მივაღწევთ!“ - აღნიშნა საუბრის დასასრულს ბატონმა დავითმა.

ჩვენ წინსვლას ვუსურვებთ გუნდის ახალ შემადგენლობას და იმედს ვიტოვებთ, რომ წარმატებებს მიაღწევენ, გაამართლებენ გულშემატკივართა იმედებს და მრავალჯერ ასახელებენ ხარაგაულს.

ლელა გუგულაშვილი

„რეგიონული განვითარების ფონდიდან“ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ 10 ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ

1.სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, თანხით - 150 ათასი ლარი;

2.საღანძილის ა/ერთეულის სოფლებში (სოფ. ვანი 3 760 მ, სოფ. ჩხერი 1000 მ) გზების რეაბილიტაცია 4, 8 კმ, თანხით - 874, 700 ლარი;

3.წყალაფორეთის ა/ერთეულის სოფლებში (სოფ. ხონი 400 მ, სოფ. ლახუნდარა 1 500 მ) გზების რეაბილიტაცია 1 900 მ, თანხით - 285 ათასი ლარი;

4.ხევის ა/ ერთეულის სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია 1, 5 კმ, თანხით - 276, 790 ლარი;

5.ბორითის ა/ერთეულის სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია -2 კმ, სოფელ ვაშლევის პირველი უბნის (ტაძართან) გზის რეაბილიტაცია 1 კმ, თანხით - 492 600 ლარი;

6.ბაზალეთის ა/ერთეულის სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია 600 მ, თანხით - 55 ათასი ლარი;

7.მოლითის ა/ერთეულის სოფელ ქვების ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 1 კმ, თანხით - 150 ათასი ლარი;

8.დაბა ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, თანხით - 300 ათასი ლარი.

9. სოფელ ვახანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 2 500 მ; თანხა 466 800 ლარი.

10. მოლითის ა/ერთეულის სოფელ ქვების ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 2 კმ; თანხა - 300 000 ლარი.

აღნიშნული პროექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სავარაუდოდ, აპრილში დაიწყება და მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება.

ეკა შავიძე

ევროპარლამენტმა საქართველოს უვიზო მიმოსვლა მიანიჭა

ევროპარლამენტმა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას მხარი დაუჭირა. საქართველოს მოქალაქეები თავისუფლად იმოგზაურებენ შენგენის ზონაში და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში - რუმინეთში, ბულგარეთში, ხორვატიასა და კვიპროსში, ასევე უვიზოდ მიმოსვლა შესაძლებელი იქნება ისლანდიასთან, ლიხტენშტეინთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან.

მას შემდეგ, რაც საქართველომ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, ევროკომისიამ საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით, დადებითი რეკომენდაცია მისცა.

ევროპასთან უვიზო მიმოსვლის მინიჭებას მხარი ევროპარლამენტის 647 წევრიდან 553-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგ 66 დეპუტატი წავიდა, ხოლო ხმის მიცემისგან თავი 28 დეპუტატმა შეიკავა.

ᲡᲐᲦᲐᲜᲫᲘᲚᲔᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის, ინფორმაციით მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ თოფურიძისა და მოადგილის **არჩილ მაღრაძის** შუამდგომლობითა და აქტიური მუშაობით, მუნიციპალური განვითარების ფონდში გაგზავნილ პროექტების ნუსხას, რომელიც 3 მილიონ 173 ათას ლარზე იყო გაწერილი, მუნიციპალური განვითარების ფონდმა მუნიციპალიტეტს დამატებით ნახევარი მილიონი ლარი გამოუყო. რის შემდეგაც მგფ-ით დასაფინანსებელი პროექტების ჩამონათვალს სოფელ საღანძილეში საბავშვო ბაღის მშენებლობა დაემატა. პროექტი 597 310 ლარით დაფინანსდება. როგორც გამგებელი განმარტავს, საღანძილეში საბავშვო ბაღის მშენებლობას პრიორიტეტი ბავშვთა კონტინგენტის სიმრავლის გამო მიენიჭა. საღანძილის საბავშვო ბაღით რამდენიმე სოფელი ისარგებლებს.

ᲯᲐᲤᲐᲠᲝᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲒᲔ�გᲛᲔᲑᲐ

საქართველოს მთავრობის სხდომაზე, მოიწონეს საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა 2017 წელს საქართველოს რეგიონებში ჩასატარებელი გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების შესრულება.

განკარგულების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 35 სოფელში ჩატარდება, მათ შორისაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლები - ჯაფაროული და ისლარი.

როგორც ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, **კობა ლურსმანაშვილი**, ჩვენთან საუბარში განმარტავს, ჯაფაროულისა და ისლარის გაზიფიცირების საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. „რამდენჯერმე მივწერეთ ენერგეტიკის სამინისტროს ამ ორი სოფლის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, მივაღწიეთ შეთანხმებას და ოფიციალურად დადასტურდა, რომ 2017 წელს ჯაფაროულისა და ისლარის გაზიფიცირება დაიწყება,“ - დასძინა დეპუტატმა. კობა ლურსმანაშვილი ასევე განმარტავს, რომ მიმდინარე წელს მხოლოდ ორი სოფლის გაზიფიცირება საკმარისი არაა და მომავალში „სოკარ ჯორჯია გაზთან“ მოლაპარაკებებს გეგმავს, რათა ბუნებრივი აირის შეყვანა ხარაგაულის სხვა სოფლებშიც მოხდეს. მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად მუშაობს ასევე ზესტაფონისა (სანახშირე, წევა) და ბაღდათის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2017 წელს 11 000-ზე მეტი აბონენტი გაზიფიცირდება. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების საავარაუდო ჯამური ღირებულება 20 000 000 ლარს შეადგენს, რომელიც 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენერგეტიკის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებით არის გათვალისწინებული.

ეკა შავიძე

RA ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲒᲔ�გᲛᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ წყვეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. გასული წლის დასასრულს სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი, 2017 წლის, სამუშაო გეგმა. თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება მიმდინარე წელს ხარაგაულის საჯარო სკოლებში ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **დავით კიკნაძე** გვესაუბრა: „მიმდინარე წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებია დაგეგმილი ჩვენს მუნიციპალიტეტში. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო პირველ რიგში იმ სკოლების რეაბილიტაციას უზრუნველყოფს, სადაც სავალალო მდგომარეობაა. ასეთია სოფელ ზვარის საჯარო სკოლა, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს გადახურვას, რემონტსა და გათბობის სისტემის მოწესრიგებას. ასევე დიდი სურვილი გვაქვს, დაბის სკოლებში დახურული სპორტული დარბაზები მოეწყოს. ვიმედოვნებ, ამჯერად ეს პროექტი მეორე საჯარო სკოლაში განხორციელდება, მესამე საჯარო სკოლაში კი შიდა სარემონტო სამუშაოებია დაგეგმილი“ - განმარტავს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

დავით კიკნაძის თქმით, მიმდინარე წელს ღარიხევსა და კიცხში ახალი სკოლები აშენდება.

„გადაწყვეტილია ღარიხევის დაწყებითი სკოლის აშენება, რომელიც გათვლილი იქნება 30 მოსწავლეზე. ამ სკოლის ისტორია 110 წელს მოიცავს და ყურადღებას ნამდვილად საჭიროებს. დღის წესრიგში დგას კიცხის სკოლის რეაბილიტაციის საკითხი. პროცედურები დაწყებულია. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, სკოლაში სარემონტო სამუშოების ჩატარება მიუღებელია, ნიადაგი არაა ხელსაყრელი და ხელახალ დაზიანებებს გამოიწვევს. ამიტომ აუცილებელი გახდა ახალი შენობის სხვა ადგილას აგება. სკოლა 150-200 ბავშვზეა გათვლილი, პროექტი საკმაოდ დიდია და უამრავი საკითხის მოგვარებას მოითხოვს. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ აღნიშნული გეგმა სისრულეში მოვიყვანოთ.“

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სკოლებში გათბობის საკითხსაც ეხება და ამბობს, რომ ცენტრალური გათბობის სისტემა მხოლოდ დაბის ორ სკოლაშია. რაც შეეხება სველ წერტილებს, დავით კიკნაძის თქმით, დაბის სკოლებში ეს საკითხი მოწესრიგებულია, სოფლის სკოლებში კი - შეძლებისდაგვარად.

„ცენტრალური წყალ-კანალიზაციის სისტემების არარსებობის გამო, სოფლის სკოლებში ვერ ხერხდება იმგვარი სველი წერტილების გაკეთება, როგორიც გვაქვს დაბის სკოლებში. მთავარია, ჰიგიენა იყოს დაცული. ამას ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ.დიდი იმედი მაქვს, რომ ეს წელი, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, ჩვენი რაიონის სკოლებს საკმაოდ დაეტყობა“, - აღნიშნავს ბატონი დავითი.

ლელა გუგულაშვილი

გზა შეუცვლელი და ყველაზე საიმედო...

პროექტით „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან," რომლის ავტორია ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, **ნიკოლოზ მაჭავარიანი**, ხარაგაულის მაღალინტელექტუალურმა საზოგადოებამ დიდი სიხარული განიცადა, რადგან მიმდინარე წლის 4 თებერვალს მასპინძლობდა თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს, **დათო ტურაშვილს**.

ისეთი ფართო დიაპაზონის შემოქმედისათვის, როგორიც დათო ტურაშვილია, სრულიად შესატყვისია დიდი რომანისტის, კონსტანტინე გამსახურდიას, სიტყვები: „მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა მხოლოდ. მიჩქმალულ გმირობათა ქომაგია მწერალი.„

განა უკეთესი ქომაგი შეიძლება ჰყავდეს ტრაგიკული ბედის მქონე „თვითმფრინავის ბიჭებს?" ვის შეეძლო მათი მიზნებისა და მისწრაფებების იმ თვალთახედვით აღქმა, როგორც ეს შეძლო მწერალმა „ჯინსების თაობაში.„

აბა ვინ უჭირისუფლებდა ქართულ სილამაზეს ისე, როგორც ეს „გურჯი ხათუნის" ფურცლებზე გარდაისახა დათო

ტურაშვილის ნიჭიერი კალმით.

წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა დიდ პასუხისმგებლობას, ნიჭსა და ენერგიას მოითხოვდა სცენარი ფილმისათვის, რომელიც უგანათლებულეს მეფე დავით აღმაშენებელს, ანუ იმ პიროვნებას მიეძღვნა, „რომელიც თავისი ეპოქის უმამაცესი და უგანათლებულესი სუვერენი იყო იმ ბნელ საუკუნეებში, როცა გერმანიის იმპერატორები ძლივს ითვისებდნენ წერა-კითხვას.

ცნობილია, კარლოს დიდმა მიხრწნილებისას ძლივს ისწავლა თურმე ხელის მოწერა, ხოლო სელჯუკიანთა დიდი სულტნები: თორღულ ბეგი, ალფ - არსლანი და მალიქ - შა სავსებით უწიგნურნი იყვნენ." (კონსტანტინე გამსახურდია).

სამწუხაროდ, ფილმის პროდიუსერი, ლევან კორინთელი, მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან და მკითხველმა აღნიშნული სცენარი წიგნად მიიღო. ესაა დათო ტურაშვილის „ტყეების მეფე" (ლეგენდები დავით აღმაშენებელზე).

„შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა!"-ასეთი იყო მტრების მუქარა, რომელსაც ვკითხულობთ წიგნის გარეკანზე...

გაუდაბურებულ, ტყეებად ქცეული ქვეყნიდან თექვსმეტი წლის ასაკში ტახტზე ასულმა დავითმა, რომელსაც

მძიმე ტვირთად ერგო „დიდი თურქობის" მემკვიდრეობა, საქართველო გახადა „აღშენებული" და თვით მეფე კი გახდა „აღმაშენებელი." ამ წიგნთან მიმართებაში მწერლის უდიდესი დამსახურებაა საკუთარი, გამორჩეული სტილი, ის ბუნებრიობა, რომლითაც სრულიად ისპობა ზღვარი დროთა სივრცეში და მეფესთან ერთად ყველა პერსონაჟი ხდება თანამედროვე მკითხველისთვის ძალზე ახლობელი.

რასაკვირველია, არა მაქვს პრეტენზია, რომ მივწვდები იმ მწვერვალს, რომელზედაც უკვე დაისადგურა დათო ტურაშვილის პროზამ. ამჯერად ჩემი მიზანია, როგორც პედაგოგმა, მადლიერებით აღვნიშნო მწერალთან შეხვედრის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. დარბაზში დაბის სამივე სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ. ისინი აქტიურად ჩაერთნენ დიალოგში საყვარელ მწერალთან და ერთხელ კიდვ დარწმუნდნენ, რომ ცოდნისაკენ მიმავალი ყველაზე საიმედო და შეუცვლელი გზა წიგნზე გადის.

P.S. ძვირფასო მწერალო! ძალიან გაგვახარა ხარაგაულში სტუმრობის მესამე დღეს თქვენთან ტელეეკრანებთან შეხვედრამ „სხვა შუადღეში," როცა ესოდენ მაღალი შეფასება მიეცით ხარაგაულის საზოგადოების ინტელექტს, წიგნიერებას. თქვენ ნახეთ ზამთრის ხარაგაული, მაგრამ დაგვერწმუნეთ, რომ ხარაგაული კიდევ უფრო ლამაზია გაზაფხულზე, როცა ბუნება ახალ სიცოცხლეს ეზიარება და ისევ, თქვენი სურვილიდან გამომდინარე, გეპატიჟებათ ხარაგაული ვარდობის თვეში, გვეწვიეთ, შემოქმედებითი იდეებით დატვირთული, გაგვახარეთ და კიდევ ერთხელ გვაზიარეთ იმ საოცარ ნიჭთან, რომლითაც ესოდენ გულუხვად დაუჯილდოებიხართ დედაბუნებას!

ყველას სათქმელი კი მინდა, ხარაგაულელთა მთიელი სიძის, ნიკოლოზ წიკლაურის, თქვენდამი ექსპრომტად მოძღვნილი ლექსის სტრიქონებში ჩავტიო:

რჩეულ ქართველს, დიდ შემოქმედს,
ბატონ დათო ტურაშვილს

უფლის რჩეული კაცი ხარ,
სავსე მადლით და სიბრძნითა,
ქართული სულის ქროლვა ხარ,
ყოველი კუთხე - სივრციდან.
მცველი ხარ შენი ჯიშ-გენის,
თითეულ გოჯი მიწისა,
ერთ-ერთი შემოქმედი ხარ,
ერის და ქვეყნის წინსვლისა!

მერი გიორგიძე

სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდათ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონულმა ორგანიზაციამ ა(ა)იპ „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრის" მიერ შექმნილი სატრენინგო მოდულით, სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებისთვის ტრენინგები ჩაატარა. სპმთპ-ისთვის მნიშვნელოვანია, როგორც განათლების სფეროში დასაქმებულთა ინტერესების დაცვა, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ეს ტრენინგები.

სპმთპ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ლალი სებისკვერაძის თქმით, უახლოეს პერიოდში სკოლამდელ დაწესებულებათა სისტემაში ცვლილებები იგეგმება. „აღმზრდელებს საკვალიფიკაციო გამოცდები ჩაუტარდებათ, რის შედეგადაც მათ პედაგოგის სტატუსი მიენიჭებათ. ამიტომ აუცილებელია, რომ ამ პროცესს ისინი მომზადებულნი შეხვდენენ. გასულ წელს ბაღის გამგეებმა, მზარეულებმა და მზარეულის თანაშემწეებმა საინტერესო და საჭირო თემა გაიარეს სურსათის უვნებლობაზე. წლევანდელი შეხვედრა კი კარიერული ზრდის, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად დაიგეგმა, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავდა: „სასკოლო ასაკის ბავშვთან მუშაობის მეთოდები, სტრატეგიები, სამუშაო დღის დაგეგმვა და „სასკოლო მზაობის პროგრამა", - დასძინა ქალბატონმა ლალიმ.

ტრენინგი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სასკოლო დაწესებულებათა 60-მდე პროფწევრმა გაიარა. ხუთი საათის განმავლობაში საკმაოდ საინტერესო და აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა შეხვდრა, რომელსაც ძალიან კვალიფიციური ტრენერი ქალბატონი **მარინე შენგელია** ხელმძღვანელობდა. იგი თავად გახლავთ თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის გამგე და კარგად იცნობს ამ სისტემაში არსებულ პრობლემებსა თუ სიახლეებს. ტრენინგის მონაწილე ყველა პროფწევრი უახლოეს პერიოდში შესაბამის სერტიფიკატს მიიღებს. დამსწრეთა მოთხოვნით გადაწყდა, რომ მომავალი ტრენინგი მენეჯერებისთვის ჩატარდება.

ლელა გუგულაშვილი

„რეგიონული განვითარების ფონდი" ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 3 173 000 ლარს დახარჯავს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „რეგიონული განვითარების ფონდიდან" დასაფინანსებელ პროექტთა ნუსხაში ცვლილებები შევიდა. ამის შესახებ დეპუტატებმა 31 იანვარს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, **მალხაზ ფხალაძემ**, გააცნო.

საკრებულომ გასული წლის ნოემბერში ერთხელ უკვე დაამტკიცა 2017 წელს დასაფინანსებელი პროექტები, მაგრამ მას შემდეგ სხვა პრიორიტეტები წამოიჭრა და მოხდა პროექტების დამსხვილება. მალხაზ ფხალაძე განმარტავს, რომ „რეგიონული განვითარების ფონდი" მცირე ბიუჯეტიან პროექტებს არ განიხილავს (პროექტის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს), რის გამოც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ პროექტების დამსხვილება ან სხვებით ჩანაცვლება.

მიმდინარე წელს „რეგიონული განვითარების ფონდი" ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 10 ინფრასტრუქტურულ პროექტს დააფინანსებს. 5%-იან თანადაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტი განახორციელებს.

პროექტთა ნუსხაში ცვლილების შეტანამ საკრებულოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მათი განცხადებით, რიგ სოფლებში ცენტრალური გზა სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროების შემთხვევაში გადაადგილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილსაც უჭირს. აქედან გამომდინარე, საჭიროა პრობლემის დროულად აღმოფხვრა.

ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ლენა აბაშიძემ**, სოფელ ბჟინევის გზაზე არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ გზის შეკეთება აუცილებელია.

გამგებლის პირველი მოადგილის, **არჩილ მაღრაძის**, განმარტებით, მუნიციპალიტეტისთვის გზების რეაბილიტაცია კვლავ პრიორიტეტად რჩება და ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე სოფლებში გზების მოწესრიგება იმ მასშტაბური პროექტის პარალელურად უნდა მოხდეს, რომელიც რიკოთის გვირაბიდან ზესტაფონის მიმართულებით განხორციელდება.

პროექტების მიმართ უკმაყოფილება გამოხატა საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **მარინე ვეფხვაძემ**. მისივე თქმით, განსახორციელებელ პროექტთა ნუსხაში კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის არც ერთი სოფელი არაა შესული. „თეთრაწყაროში გაზიფიცირების სამუშაოების გამო გზა მთლიანადაა ამორტიზირებული. ჯერ კიდევ ორი თვის წინ საკრებულოს სხდომაზე თეთრაწყაროს მოსახლეობის რამდენიმე წარმომადგენელს სურდა შემოსვლა და აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე საუბარი. მაშინ მათ დავპირდით საკითხის მოწესრიგებას, როგორ შეიძლება ამ პროექტის გადადება. მოსახლეობა ფაქტობრივად გზით ვერ სარგებლობს. დავაანონსეთ გზის შეკეთება საქარიქედის, ბორის, იგორეთის ტერიტორიებზეც. ჩემთვის, როგორც ამ ზონის წარმომადგენლისთვის ძნელი იქნება აქ მაცხოვრებელთათვის ამის ახსნა," - დასძინა მარინე ვეფხვაძემ.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ, **თორნიკე ავალიშვილმა**, საკუთარი მოსაზრება გამოხატა თეთრაწყაროს დაზიანებულ გზასთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ კომპანიამ, რომლის მიზეზითაც მოხდა გზის დაზიანება, უნდა უზრუნველყოს მისი რეაბილიტაცია. ამ შემთხვევაში კი გაზიფიცირების პროექტს „სოკარ ჯორჯია გაზი" ახორციელებს და თეთრაწყაროს გზის დაზიანების აღმოფხვრაც მათ პრეროგატივად მიიჩნია.

ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ვარლამ ჭიპაშვილმა**, უკმაყოფილება გამოხატა სოფელ ღარიხევში 300მ გზის მოასფალტებაზე. იგი მოითხოვს, აღნიშნულ გზას 300 მეტრი კიდევ დაემატოს და სულ 600 მეტრი გზის რეაბილიტაცია მოხდეს.

ბევრი მსჯელობისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დეპუტატებმა „რეგიონული განვითარების ფონდიდან" მიმდინარე წელს დასაფინანსებელ პროექტთა ნუსხაში შეტანილ ცვლილებას მხარი დაუჭირეს.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის, ინფორმაციით, პროექტები, რომლებიც მიმდინარე წლის განსახორციელებელ პროექტთა ნუსხაში ვერ მოხვდა, 2018-2020 წლებში განხორციელდება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის საჯარო სკოლის დირექტორებს წყალტუბოში ტრენინგი ჩაუტარადათ

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს" მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს, აგრძელებს ტრენინგებს დირექტორებისა და ფასილიტატორებისთვის სკოლის მართვის გაუმჯობესების საკითხებზე. ტრენინგები ამჟამად წყალტუბოში გაიმართა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ხარაგაულის საჯარო სკოლის დირექტორები.

პროგრამის წარმატებით დასრულება დაეხმარება სკოლის დირექტორებს, გააუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა დროის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა; მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; სასწავლო თემების განვითარება; სკოლაში ინოვაციური და ინტერაქტიული მეთოდების დანერგვა და გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განხორციელება.

დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის დირექტორი, მარინე ხვედელიძე, აღნიშნავს, **რომ ტრენინგები ძალიან პროდუქტიული და საინტერესო იყო. „ლიდერობის აკადემია 2-ის" ფარგლებში ორი მოდული გავიარეთ, რომლებიც გაზიარებულ ლიდერობას, ზრდასრულთა სწავლებასა და სწავლების მენტორობას ეხებოდა," - დასძინა ქალბატონმა მარინემ.**

„ლიდერობის აკადემიის" მორიგი ტრენინგი აპრილში იგეგმება და, ყოველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მონაწილეები სერტიფიკატებს მიიღებენ.

ეკა შავიძე

ხარაგაულის კინოთეატრში ხალხური შემოქმედების სახლის კონცერტი გაიმართა

ხარაგაულის კინოთეატრში ა(ა)იპ „ხარაგაულის ხალხური შემოქმედების სახლის“ (დირექტორი **დალი მაღრაძე**) კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაზე ხალხური შემოქმედების სახლის ცეკვის წრის (ქორეოგრაფი **რომან ბუაჩიძე**) აღსაზრდელების მიერ შესრულდა ცეკვები „ყაზბეგური“, „მთიულური“, „აჭარული“, „სამაია“, „ოსური“... დარბაზის ოვაციები დაიმსახურა უკრაინული ცეკვის შესრულებამ. ქართული ხალხური სიმღერების (პედაგოგი მაია მაღრაძე) განსხვავებული ინტერპრეტაციით შესრულებამ აპლოდისმენტების ფონზე ჩაიარა. ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა ზეპირსიტყვიერების წრის (ხელმძღვანელი **თამარ ავალიშვილი**) მიერ გადაღებული ვიდეოფირი „საშობაო ალილო“.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, გამგებლის მოადგილე **არჩილ მაღრაძე**, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამლოცველო სახლის წინამძღვარი მამა **ანტონი (სულთანიშვილი)** და ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხალხური შემოქმედებითი სახლის დირექტორმა, დალი მაღრაძემ, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, ბავშვებს და მათ მშობლებს, იმ თავდადებული და დაუღალავი შრომისათვის, რასაც ისინი ყოველდღიურად აკეთებენ. ქალბატონმა დალიმ იმედი გამოთქვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დააფასებს ფოლკლორის განვითარებას ხარაგაულში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, ხალხური შემოქმედებითი სახლის პედაგოგებსა და აღსაზრდელებს მომავალში გვერდით დგომა აღუთქვა და აღნიშნა, რომ ფოლკლორის განვითარებას ხარაგაულში აუცილებლად შეუწყობს ხელს.

ხარაგაულელი ზაურ ბერაძე საქართველოს ჩემპიონი გახდა

ხარაგაულელი **ზაურ ბერაძე** 2009 წლიდან, საკმაოდ პატარა ასაკიდან, სპორტში აქტიურადაა ჩართული. იგი საქართველოს ნაკრების წევრია თავისუფალ ჭიდაობაში. ბოლო წლებში კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირებზე და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს.

2017 წლის 4 თებერვალს ყვარელში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრში 8 წონით კატეგორიაში 200-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა.

ჩემპიონატში ზაურ ბერაძე 84 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, რის შედეგადაც პირველი ადგილის მფლობელი და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ვულოცავთ ზაურს საქართველოს ჩემპიონის ტიტულს და წარმატებებს ვუსურვებთ!

ტურიზმის ცენტრის მორიგი ლაშქრობა ბორჯომ -ხარაგაულის ეროვნულ პარკში

მთა ის ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია მარტო დარჩეს საკუთარ თავთან. ადგილი, სადაც ყველასგან და ყველაფრისგან ხარ თავისუფალი და დამოუკიდებელი. მთისგან „იწამლებიან“ ადამიანები და შემდგომ მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

სწორედ, მთისგან „მოწამლული“ ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული 28-29 იანვარს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გამგზავრებულ მოლაშქრეთა ჯგუფი. აღნიშნულ ტურს ორგანიზებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) უწევდა. სათავგადასავლო ლაშქრობა - ტურის ფარგლებში ახალგაზრდებმა ულამაზესი თოვლიანი ხერგილი მოინახულეს. მოლაშქრეთა 17 კაციანი ჯგუფის უსაფრთხოებაზე „ტურიზმის ცენტრის“ გამოცდილი და სერტიფიცირებული სამთო გიდები ზრუნავდნენ.

„ერთი ჩემი მთამსვლელი მეგობარი ამბობს: - „მთამ თუ ,,ჩაგყლაპა“, მას თავს ვერასდროს დააღწევ.“ - გვესაუბრება ბერიკა თურმანიძე - „მსურს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა „მოვწამლო“ მთის სიყვარულით, რადგან შემდეგ იარონ, მოუარონ, შეიყვარონ და შეაყვარონ მთა მათ გარშემომყოფთ. შეგვიძლია ვიამაყოთ იმ სიმდიდრით, სილამაზითა და საოცარი ადგილებით, რითაც უხვად არის დაჯილდოებული ხარაგაული. ვფიქრობ, მომავალი თაობისთვის მნიშვნელოვანია ასეთ აქტივობებში მონაწილეობა“. – აღნიშნავს ტურიზმის ცენტრის დირექტორი.

რატომ დადიან მთაში? - იმიტომ, რომ ახალგაზრდებში მკვიდრდება ჯანსაღი ცხოვრების წესი, ეჩვევიან დამოუკიდებელ ცხოვრებას, სწავლობენ სხვადასხვა სირთულისაგან თავის დაღწევას, იძენენ ახალ მეგობრებს, ეცნობიან თავიანთი კუთხის ბუნებასა და ისტორიას. თუმცაღა მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის იმ გამოცდილებისა და ცოდნის შეძენა, რასაც ლაშქრობების დაგეგმვა - ორგანიზება, უსაფრთხო გადაადგილება, ბუნებრივი სტიქიებისგან თავდაცვა, პირველადი დახმარება და ბუნებრივი თავშესაფრის მოპოვებაა.

„ეს ცოდნა და გამოცდილება არა მარტო მთაში, არამედ ყოველთვის შეიძლება დასჭირდეთ და გამოიყენონ. ასევე ჩვენ მიერ დაგეგმილ ტურებში მონაწილეობის შემდეგ ახალგაზრდები დამოუკიდებლად, თავიანთ მეგობრებთან ერთად მიდიან მთაში და აუცილებელია მათი უსაფრთხოებისთვის იმ გამოცდილების მიღება, რასაც ჩვენი ტრენინგები მოიცავს,“-დასძენს მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორი.

ბერიკა თურმანიძე ხარაგაულში ტურისტულ პოტენციალის განვითარებაზეც ამახვილებს ყურადღებას. მიიჩნევს, რომ ამ მხრივ მუნიციპალიტეტი ნამდვილად გამორჩეულია. იგი ასევე „მოლაშქრეთა კლუბის“ ჩამოყალიბებაზე გვესაუბრება. თურმანიძის თქმით, კლუბის მიზანი საზოგადოებისთვის უცნობი, საინტერესო ადგილების, ბუნებრივი ძეგლების აღმოჩენა და დალაშქვრა იქნება. „მოლაშქრეთა კლუბის“ ფარგლებში სხვადასხვა სირთულის სათავგადასავლო ტურებიც მოეწყობა.

თამარ მაღრაძე

ახალგაზრდულ ფორუმში მონაწილეობა ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის მოსწავლეებმა მიიღეს

5 თებერვალს ქ.ქუთაისში, სასტუმრო „ბაგრატში“, ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა, რომელშიც იმერეთის რაიონის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეები და პედაგოგი **მარინა მუმლაძე**, რომლებიც გაერთიანებულები იყვნენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევისა და სოფელ ზედა საქარის სკოლების წარმომადგენლებთან.

ფორუმის მიზანი იყო მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით თემის ადგილობრივი საჭიროებების კვლევა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რეკომენდაციების შემუშავება და თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. იგი ორგანიზებული იყო სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია „PH international“, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. პროგრამა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ქუთაისის განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მიერ განხორციელდა.

მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ გაძლიერდეს კომუნიკაცია ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის შემეცნებით- გასართობი ღონისძიებების მოწყობის მიზნით. ფორუმზე შვიდი პროექტი შემუშავდა და მსვლელობისას მოხდა მათი პრეზენტაცია. ჩვენი წარმომადგენლების მიერ შემუშავებული პროექტის სახელწოდება იყო „თანამშრომლობა წარმატებული მომავლისათვის“, რომელიც მოწონებულ იქნა დამსწრე საზოგადოების მიერ.

თებერვლის ბოლოს ჯგუფის წევრების პირველი სამუშაო შეხვედრა შედგება, დაიგეგმება აქტივობები და მარტიდან მოხდება პროექტის განხორციელება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით.

ფორუმზე იმყოფებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ოთარ ლურსმანაშვილი**, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ირინე ჩხეიძე**, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, **ნათია კაციტაძე** და (ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ დირექტორი **ნიკოლოზ მაჭავარიანი**.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯუთარებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზების მიზნით განმეორებითი ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა

აუქციონი 2017 წლის 6 თებერვალს დაიწყო და 2017 წლის 16 თებერვალს 16 საათზე დასრულდება.

წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ია.

„ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ი.

ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერზე:WWW.esuction.ge.

განმეორებითი აუქციონის ობიექტები

N	ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი.	მისამართი	*ობიექტის საწყისი ღირებულება*	თანხის დაკლების%	ღირებულება პროცენტის დაკლების შემდეგ	„ბეს“ თანხა	„ბიჯის“ თანხა	თანხის გადახდის ვადები
1.	**ტრაქტორი დტ-75**	სოფელი კიცხი	**1400**	**20%**	**1120**	**112**	**112**	ერთი თვე
2	**ტრაქტორი დტ-75**	სოფელი კიცხი	1610	**30%**	**1127**	**113**	**113**	ერთი თვე
3	**ტრაქტორი დტ-75**	სოფელი კიცხი	**1610**	**30%**	**1127**	**113**	**113**	ერთი თვე
4	**ავტომანქანა "მიცუბიშ-პაჯერო", სახN REV-173**	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	**1750**	**30%**	**1225**	**123**	**123**	ერთი თვე
5	**ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა, სახ. N-MEG-970**	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	280	50%	140	14	14	ერთი თვე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12